



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1494 2017 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის
შესახებ

ქ. ერევანში საქართველოსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 41 144 (ორმოცდაერთი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ტელ.: 2 98 74 30



070188979022017

შემოსვლის N 12161
"სს" 07 2017
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტრო